წელიწადი I-ლი
ტელეფონი № 76.
სამშაბათი 16 მაისი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი-რად. . . 15 მან.
ნახევარი წლით . . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ... 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე ... 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ... 2 საათის შემდეგ ... 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ.ს. მიქელაძის ს

№ 29 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 29

მიხეილის სათავად-აზნაურო

საადგილ-მამულო ბანკის

ზედამხედველი კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბ. ბ. ბანკის რწმუნებულთა კრება დანიშნულია ქ. ქუთაისში ბანკის შენობაში 28 მაისს 1917 წელს, დილის 10 საათზე.

ბანკის წესდების 89-ის შენიშვნის თანახმად კრება კანონიერად ითვლება, მიუხედავად დამსწრე რწმუნებულთა რიცხვის რაოდენობისა.

განსახილველია შემდეგი კითხვები:

1. ბანკის ოპერაციათა 1916 წლის ანგარიში და მოხსენებანი ზედამხედველი კომიტეტისა, გამგეობისა და დამფასებელი კომისიისა.
2. ზედამხედველ კომიტეტისა და ბანკის გამგეობის შეერთებულ საკრებულოს მოხსენება.
3. ბანკში მოსამსახურეთა საპენსიო კასის ანგარიში.
4. გამგეობის მოხსენება ბანკზე დარჩენილ მამულების შესახებ.
5. გამგეობის მოხსენება ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლისა და შევსების შესახებ.
6. შეერთებულ საკრებულოს სხდომა ბანკის სამოქმედო რაიონის გადიდების შესახებ.
7. ბანკის 1917 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა.
8. თანამდებობის პირთა არჩევნები იმათ მაგივრად, ვინც სამსახურის ვადის შესრულების გამო გავიდა: ზედამხედველ კომიტეტის 4 წევრისა, გამგეობის 2 წევრისა და ერთი კანდიტატისა.

## მოწოდება

ქართველო ხალხო განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ესწრაფეთ დაიმუშავოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საჩქაროთ უფრო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კარტოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნულარ გაქვთ.

## მამულიშვილნო

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი ვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის, შემოწირულება მიიღება ,,ჩვენი ქვეყნის‘‘ რედაქციის კანტორაში.

ელექტრო ,,რადიუმ“ თეატრი

15 მაისს საგულისხმიერო პროგრამა

მპყრობელი

დრამა 5 ნაწილათ კარაბანისა, პავლოვისა და ბარანცევიჩის მონაწილეობით

1. ნაწილი: აწეწილი გრძნობა. 2. აღდგენილი წარსული, 3. მათი საიდუმლოება, 4. ცხოვრების ზეიმი, 5. სიყვარული და სიკვდილი.

ანონსი: მზადდეია დასადგმელათ შემდეგი სურათი **ბუხართან**. მაქსიმოვისა, პოლონსკისა და ხოლოდნაიას მონაწილეობით. **შავი ყვავები.**

**ყურადღება!** ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

15 მაისიდან 1917 წ. საგულისხმიერო პროგრამა

**შვილო ჩემო სად ხარ შენ?**

დრამა 5 ნაწილათ. ბრიდზინსკისა, გლინსკის, შმიდტის და სოტანიკოვის. მონაწილეობით.

ანტოშა და ცეცხლის მქრობელი. კომედია 2 ნაწილათ. ანტონ ფერტნერის მონ.

ანონსი: მზადდება გრანდიოზული საგულისხმო სურათი **როზა გრენადი.** რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ლინა კავალიერი.

**ყურადღება!** ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეჟიმოვებისა.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



სამშაბათს 16 მაის მიდის გრანდიოზული საგასტროლო წარმოდგენა.

ჩამოვიდა! და დღეს პირველი საგასტროლო გამოსვლა გამოჩენილ ბელგიელ ტრუპის.

მთელ ქვეყანაზე ყველაზე პატარა ქალის **ლიუსის**, ალმოსავლეთის გამოჩენილ მსახიობის ჩიფუს მონაწილეობით. ბევრი სხვა გამოჩენილ მსახიობთა ქალთა და კაცთა გამოსვლები.

დღეს კავკასიურ ჭიდაობის მეექვსე დღეა. 1. წყვილი. სერგო ჯაფარიძე კამბამის წინააღმდეგ, 2. საშა ვერელი სანიკიძის წინააღმდეგ. ჭიდაობა დაიწყება 10 ნახევარ საათზე, წარმოდგენა 8 ნახევარ ს.

## დ ღ ე ს:

**წერილები:**

ტრ. ჯაფარიძე.—რა სჭირდება გლეხს.
ი. ხ-შვილი—ქართველი ისრაელები.
ქართული პრესა.
ჯიხ.— ომი.
დ—თ—ვ. გენიას იუბილე ზეიმი.

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. აღმოს. და დასავლ. საქართვ. მასწავლებ. კავშირის შეერთებული კრება. ქუთ. სამრეწველო-სამეურნეო საზოგად. კრება. ეროვნული კითხვა. მოწერილი ამბები. რუსეთი. უცხოეთი. ახალი ამბავი.

## მიიღებს პრემიად

ორმოცდა ათ მანეთს, ვინც გადასჭრის შემდეგ საკითხს.

### რიცხვის მცნება

შეიძლება თუ არა განისაზღვროს?
(Опредѣлимо или неопредѣлимо понятіе: число?)

თუ შეიძლება, საჭიროა აღინიშნოს მეცადინეობის მსვლელობა და შემდეგ განსაზღვრულ იქნეს მცნება რიცხვისა. თუ შეუძლებელია რიცხვის განსაზღვრა ავტორმა უნდა დაამტკიცოს.

ამ საკითხის შესახებ პასუხი უნდა დაიბეჭდოს გაზ. „ჩვენს ქვეყანაში“ პირველ ივნისამდის. ჟიურის წევრებად რედაქცია მოიწვევს სპეციალისტებს. რედაქცია

## რა სჭირდება გლეხობას?

ჩვენი მოღვაწეობა განახლებული ცხოვრების მოსაწესრიგებლად სოფლიდან უნდა დავიწყოთ. სოფლის მდგომარეობა დღეს სწორედ აუტანელია. დაწვრილებით რომ გავითვალისწინოთ სოფლის ვითარება, დავრწმუნდებით, რომ დღეს დღეობით სოფელი ყოველმხრივ ტანჯვას განიცდის. სოფელში გამწვავებულია მიწის საკითხი. ზოგიერთ გლეხს სულ არა აქვს მიწა, არც ითვლება მესაკუთრედ. ასეთი ჯგუფის გლეხობა ან სახელმწიფო მიწებზეა დაბინავებული, ან კერძო მემამულეს ადგილ-მამულზე. ამ შემთხვევაში გლეხი ისეთ პირობებს თანხმდება ხოლმე, რომელიც მას ათასგვარ უსიამოვნებას აყენებს.

აუტანელია მესაკუთრე გლეხების მდგომარეობაც. გლეხობის დიდი უმეტესობა მიწის სივიწროვის გამო ძლიერ შეწუხებულია. მიწის სივიწროვე ყველგან არის, მეტადრე დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი რაჭის მაზრაში, სადაც გლეხს ხშირად ერთი დესიატინა მიწაც არა აქვს და რაცა აქვს, ისიც შვიდ რვა ნაკვეთადაა დაყოფილი. სახნავ-სათესი, საბალახო, წვრიმალი ტყე, მთის მონაწილეობა—ყველაფერი მოუწესრიგებელია სოფლებში, და აი, ამ ნიადაგზე აღძრული შური, მტრობა, ხაჩივრები, ერთმანეთის დევნა, ჩახაჩუხი და მკვლელობა ჩვენი სოფლის ისტორიის უბნელეს ფურცელს წარმოადგენს. აი აქ არის დასაწყისი ჩვენში გამწვავებული წოდებრივი უთანხმოებისა, აქ არის დასაწყისი ვნებათა-ღელვით ჩადენილი ავკაცობისა, სოფლის პოლიციის ბნელით-მოსილი მოღვაწეობისა. ამან დააქვეითა ჩვენი გლეხობა, როგორც ნივთიერად, ისე გონებრივად და ზნეობრივად. ამიტომ, თუმცა გლეხობას ბევრი რამ სჭირდება, ყოველი საჭიროების ჩამოთვლა არც შეიძლება, მაგრამ უპირველესი საჭიროება მიწის საკითხის მოგვარებაა; ეს საკითხი უპირველესია, რადგან ამის გადაწყვეტის შემდეგ მრავალი საჭიროება თავის თავად დაკმაყოფილდება.

როგორ მოვაგვაროთ მიწის საკითხი?

საზოგადოდ მუშა ხალხის ღირსება ის არის, რომ მუშაობა უყვარს. მუშა ხალხს სურვილი აქვს იმუშაოს, ოფლი დაღვაროს და თავისი ნაოფლარით კარგად მოეწყოს, ყოველგვარი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. ამ სავსებით კეთილშობილ სურვილს გლეხობა ხშირად ვერ იკმაყოფილებს, რადგან ხან მიწა არა აქვს, ხან სხვისგან იჯარით აღებული მიწა დაბალი ღირსების არის, ხან კიდევ მას მეტად მძიმე პირობებში ღებულობს გლეხი.

აი ყოველივე ეს ერთხელ და საბოლოოდ უნდა მოისპოს. ეს უნდა მოსპოს იმ ახალმა დაწესებულებამ, რომელსაც დაევალება ჩვენს ავტონომიურ საქართველოს გაუძღვეს.

დღეს დიდძალი მიწა უკავია სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს, უმაღლეს და უგანათლებულეს პირთა ოჯახებს, საადგილ-მამულო ბანკებს და მსხვილ კერძო მესაკუთრეებს.

სახელმწიფო ქონებათა სამმართველო დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს. ამას მოითხოვს სამართლიანობა.

„სახელმწიფო ქონების“ სახელწოდება ძველი მთავრობის უსამართლო მოქმედებით მიეცა ისეთ მამულებს, რომელიც ეკუთვნოდა ქართველ ერს, მხოლოდ სხვადასხვა უკუღმართი მოხერხებით ეს მესაკუთრეობა უსამართლოდ სამართალმა გააბათილა და ისე მოიხმარა, როგორც მთავრობას სურდა. ამ შემთხვევაში ისეთი რამეები ხდებოდა, რაც ძველ მთავრობას წარუხოცელ ჩირქსა სცხებს. დღეს კანცელარიის არქივები იცავენ შესაფერ საბუთებს. სახელმწიფოდ წოდებული მამულების სივრცე დიდია. ბოლო წლების ანგარიშით 600,000 დესიატინას უდრის. ეს მამულები უმეტესად სახმარი ადგილებია, რომლის მცირე ნაწილი აქვს სახელმწიფო გლეხებს იჯარით მიცემული. ამ მამულების ხალხზე გადაცემა და რიგიანად მოწესრიგება პირველ ნაბიჯს უნდა შეადგენდეს ჩვენს აგრარულ რეფორმებში. ეგევე უნდა ვსთქვა საუფლისწულო ანუ მეფის საგვარეულო ქონებათა შესახებ. აქაც შელახული იყო ხალხის ინტერესი და სამართლიანობის პრინციპი. ხალხის საკუთრება, ერის ლუკმა, მეფეთა „საფეშკაშო“ საგნად გადაიქცა. სამწუხაროდ ყოველივე ასეთი შეცდომა ძველმა დრომ ჩაიდინა და მოითმინა, მაგრამ ახალმა ის უნდა გაასწოროს, თუ ახალსაც არ უნდა ძველს დაემზგავსოს. ეს მეორე ნაბიჯი უნდა იქნეს განახლებული ცხოვრების აგრარულ რეფორმებში. ავტონომიური საქართველოს სამმართველო ორგანომ აგრარული რეფორმების საქმეში კიდევ უნდა გადასდგას ერთი არსებითი ნაბიჯი; უნდა შეიმუშაოს სამართლიანი გეგმა, რომლითაც საადგილ-მამულო ბანკების და მსხვილ კერძო მესაკუთრეთა მიწები შეიძინოს მეტოქეობისა და საჯარო ვაჭრობის გარეშე. ავტონომიურ საქართველოში კატეგორიულად დაცული უნდა იქნეს კერძო საკუთრების პრინციპი, მაგრამ თვით კერძო საკუთრებას უნდა მიეცეს ისეთი სახე, რომელიც სავსებით აღმოფხვრის იმ არა ნორმალურ შედეგებს, რითაც სახელგატეხილი შეიქნა და საშიშიც გახდა კერძო საკუთრება. იმ გეგმის შექმნა, რომლის საშუალებითაც მსხვილი კერძო მესაკუთრის დიდძალ მიწას გლეხობის უქონელ ნაწილს ჩავაბარებთ და ამით თანხმობით და კანონიერი გზით მოვაგვარებთ მიწის საკითხს, იქნება მესამე ნაბიჯი აგრარული რეფორმების განხორციელებაში.

შეერთებული გონიერი მუშაობა, ფართო მასაში გატანილი გონიერი მოძღვრება და გულწრფელი სამსახური ეროვნულ საქმისადმი, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, შეგვაძლებინებს აგრარულ რეფორმების განხორციელებას. ამით საიმედო ნიადაგი მივსცეთ ახალ ცხოვრებას და შემდეგ ყოველი დარგის მოწესრიგება და გაუმჯობესება ადვილი მოსახერხებელი იქნება.

ეს პირველი საჭიროებაა, რასაც ვასახელებ, და სხვაზე შემდეგ.

ტრიფონ ჯაფარიძე.

## ქართველი ისრაელები.

ყველა ერისა და სახელმწიფოების ცხოვრება რომელიმე სარწმუნოების დროშის ქვეშ მიმდინარეობდა და მათი კულტურაც ამა თუ იმ სარწმუნოების ღრმა ბეჭედს ატარებდა. სისხლის ღვრა, დარბევა-აწიოკება და დევნა-შევიწროება ყოველთვის და ყოველგან სარწმუნოების სხვადასხვაობით იყო ხოლმე გამოწვეული. თვით პირველ კულტუროსანი ერები თუ სახელმწიფოები საოცრად სჩაგრავდნენ არა სახელმწიფოებრივ რჯულის მაღიარებელ ერებს. ისტორიის თვალით გადახედვა ნათლად დაგვარწმუნებს ამაში. ოდესღაც უკულტუროსანესი წარსეთი, სურეთი, ბაბილონი, რომი, ბიზანტია, ესპანეთი, შემდეგ ჰოლლანდია, საფრანგეთი. (დრეიფუსის პროცესსი), გერმანეთი, ინგლისი, რუსეთი და სხვა, აუტანელ დევნას აწარმოებდნენ ებრაელთა წინააღმდეგ.

ერთმა საქართველომ და ქართველმა ერმა გამოიჩინა ღრმა პატივისცემა არა მართლმადიდებელთადმი.

ქართველი ერის პირმშო შვილებს შეადგენენ არა მარტო მართლმადიდებელი ქართველნი, არამედ მაჰმადიანებიც კათოლიკენიც, ისრაელებიც ქართველ ისრაელთა საქართველოში ყოფნა ხომ ერთი უბრწყინვალესი წერტილთაგანია ქართულს ისტორიაში. ვერ დაიტრაბახებს, რომელიმე სხვა ერი ისეთ ძმურსა და დედაშვილურ მოპყრობას მოსეს რჯულისადმი. როგორც ქართველი ერი. 3000 წლის შეგნებულ, შეერთებულ არსებობის დროს, ქართველ ერს არ შეუმწიკლავს თვისი ისტორია რომელიმე სარწმუნოების დევნით ნუ თუ ასეთი ფაქტი მარტო ქართველი ერის გულკეთილობით უნდა აიხსნას? სრულებითაც არა. კაცთმოყვარეობას უთუოდ სხვა რომელიმე დიდი ფაქტორი თან უნდა სდევდეს. ეს ფაქტორი არის ქრისტიან და ისრაელ ქართველთა ფსიქოლოგიური იგივეობა. მეცნიერებამ და რეალმა სინამდვილემ დაგვარწმუნა, რომ სისხლი და ხორცი ქართველი ისრაელებისა არის სისხლი და ხორცი არა ისრაელ-ქართველებისაც. 3000 წლის განმავლობაში ერთი ისტორიული გზით სიარული, ერთის ჭირ-ვარამის, ერთის სიხარულით განსჭვალვა, ერთი კულტურის აღიარება, ერთი ენით ლაპარაკი, ერთი ჰაერით სუნთქვა, ერთ ტერიტორიაზე გადაწნულად ცხოვრება, ერთი და იგივე კულტურით აღზრდა, ერთნაირი ზნე-ჩვეულებებით ტვინისა და გულის გაქლენთა, ერთის ეკონომიკით, მეურნეობით მთელ საუკუნემდი მოღწევა, ეჭვს აღარ დაბადებს ვინმეში, რომ ისრაელი ქართველებიც განუყრელად ივლიან კიდევ ქრისტიან თუ მუსულმან ქართველებთან, სანამ კი იარსებებს ჩვენი მრავალ ტანჯული სამშობლო-საქართველო. 3000 წლის განმავლობაში ისრაელი ქართველები უერთგულესი შვილები იყვნენ თვისი დედა საქართველოში. ისრაელ-ქრისტიან ქართველთა ამდენი ხნის ურთიერ-

როობა ჯერ შავი ღრუბლებისაგან არ დაჩრდილულა. აი ეს არის საუკეთესო საწინდარი იმისა, რომ მომავალიც ისე იქნება.

მსოფლიო ისტორიაში არ მოიპოება პრეცენდენტი იმისა, რომ მოსეს რჯულის მაღიარებელნი გლეხთა წოდებაში ყოფილიყოს სახელმწიფოში ჩაწერილი. ეს მხოლოდ საქართველოს ღირსებაა. სხვაგან მათ არც კი უშვებდნენ სოფლებში. ერთი გოჯა მიწის ყიდვის ნებას არ აძლევდნენ. სხვაგან სძულდათ ისრაელის სარწმუნოება, საქართველოში უყვარდათ. აქ მათ შევიწროება არ ახსოვთ, სრულ უფლებიანობა კი მუდამ. რით აიხსნება ეს? უსათუოდ ფსიქოლოგიური ერთობით, ერთი შვილობით.

მაგრამ.... დაიმსხვრა ქართველი სახელმწიფო და მასთან ერთად დაიმსხვა და განაცარმტვერდა ქართველ ისრაელთ კეთილ დღეობაც. რუსიფიკაციამ ძირი გამოთხარა საქართველოს ეროვნულ არსებობას ქართველ ისრაელებშიც ჩავარდა გადაგვარების ნაპერწკალი მაგრამ დღემდე შეულახველად დავიცვით ჩვენი ქართველობა. ამაში დარწმუნდა რუსის ძველი მთავრობა და იმავე ზომებს მიმართა, როგორც თვით რუსეთში. წაგვართვა ადამიანური უფლებები. ბევრი იყვირეს ქართველმა მოღვაწეებმა ასეთ უსამართლობაზე, მაგრამ ვინ აქცევდა ყურადღებას მათ პროტესტებს? თვით ქრისტიანი ქართველები ბევრ ადგილს დაჰკოდეს და ლამის კიდეც გაუგმირეს ოსმალოებისა და სპარსელებისაგან ცოცხლად გადარჩენილი გული.

მაგრამ, ჩვენთვის სამარის გამთხრელნი თვით ჩაცვივდნენ იმვე სამარეში.

შეინძრა რუსეთი, დაჰკრა ბუკმა და ნაღარამ და თავისუფლების გულ გამშლელი ხმაც გაისმა. წელში მოხრილმა საქართველომ დაიწყო წამოდგომა.

რუსეთის ერდგულებთან ერთად ისრაელ ქართველებს დაუბრუნა რევოლუციამ წართმეული მოქალაქეობრივი უფლებები. დროებითმა მთავრობამ ისინიც ადამიანებად იცნო და ყოველივე ძველი რეჟიმის ცოდვები გამოასწორა. ჩვენი სარწმუნოება ამიერიდგან ხელშეუხებელი იქნება. აღარავინ დაგვჩაგრავს იმისათვის, რომ მოსეს თორა გვწამს გვიყვართ.

მაგრამ ამით ჩვენ არ უნდა დავკმაყოფილდეთ. ჩვენ ვართ ისრაელები რჯულით, ხოლო ქართველები ეროვნებით. რჯული უზრუნველყოფილი გვაქვს. ეხლა კი ჩვენს ეროვნებას, ჩვენს ქართულ ენას, ქართულ კულტურას. ქართულ წარსულ-მომავალს, ქართულ მამულებს, მიწა-წყალს უნდა მივხედოთ, რადგანაც ამით ჩვენს კერძო ყოფა ცხოვრებას და კულტურულ საფასობელთაც მოუვლით.

აი ეს არის ეხლა ჩვენთვის ისეთი კითხვა, რომელსაც მთელი ჩვენი ძალა, ღონე, ენერგია, ყურადღება უნდა მივაქციოთ. რანაირად? ამაზედ შემდეგ.

**ი. ხ—შვილი.**

## ქართული პრესა.

სოციალისტ-ფედერალისტური „სახალხო ფურცელი“ აი როგორ ახასიათებს თავის პარტიას:

უმაგალითო გულისყური და გატაცება კონფერენციის მუშაობისა. მაგრამ კიდევ მეტად საყურადღებო იყო იყო სიდინჯე. პარლამენტარული საქმიანობა და გონებრივი სიმწიფე, რომელიც დელეგაციამ გამოიჩინა.

უქურ გარსკვლავივით ნათობს სოციალისტ-ფედერალისტთა მოძღვრება. ძმობისა და ერების თანასწორობის მქადაგებელი პარტია, სოციალურ და ეკონომიურ მონობის აღმოფხვრილი ჯგუფი დღეს ისე როგორც არასოდეს მტკიცედ წარმოსდგა ქართველ ერის წინაშე და თავისი დადგენილებით გამოაცხადა: საქართველოს ცაზე მხოლოდ ერთი პარტიაა მთლიანი, შეურყეველი, დროებით და მოძღვრებით მძლეთა მძლე პარტია, რომელსაც სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია ეწოდება.....

. . . . . . . . . . .

უველა თვალხილული ადამიანი დაინახავს რომ ისინი არიან გამომხატველნი მთლიანი აზროვნებისა, დიდი ენერგიის და ნებისყოფის მატარებელნი, უფველ ბუნდოვანობას და გამოურკვევლობას მოკლებულნი.

. . . . . . . . . . .

არა დაჰკლდებაარა ამ აზრებს ამ ოცი წლის განმავლობაში, მხოლოდ გაძლიერდა, ცხოვრებამ გაამართლა, წინ წამოგვიყენა და იგი ცხოვრება შეურყევლად მოითხოვს მისთვის თავდადებას, მისი გავრცელების, მიღებას.

ასეთი მოძღვრება, მთელმა დემოკრატიამ უნდა გონების საგანძურად გაიხადოს.

. . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . .

მშრომელი ხალხი, მთელი ერი უნდა დადგეს ამ პარტიის დროშის ქვეშ ვინაიდან საბოლოოდ ჩამოყალიბებულის აზრით და მოქმედებით დემოკრატია მხოლოდ ამ პარტიას მიჰყავს აღთქმის ქვეყნისაკენ:—სოციალიზმისაკენ.

ჩვენ არ ვიცით რამდენად ეპრიანებათ ჩვენს გლეხებს ჩვენი ფედერალისტების „სოციალიზმი,“ ან რამდენად ყურად იღებენ იგინი ჩვენივე ფედერალისტების ეკონომიურ მოძღვრებას, მაგრამ თავის ქება კი რომ კიტრადა ღირს, ეს დიდიხანია შეურყეველ ჭეშმარიტებად აღიარა ჩვენმა ხალხმა.

## ომი.

გაზაფხულის საომარი კომპანია მიწურულშია. დღეს შეგვიძლიან ორიოდე სიტყვა ვსთქვათ მისი საერთო მნიშვნელობის შესახებ. წრევანდელი ზამთრის და გაზაფხულის ბრძოლები პირველ ხანებში მეტად უმნიშვნელონი იყვნენ. უმთავრესი ბრძოლის ასპარეზები უმოქმედობას განიცდიდენ. საერთო სიწყნარეში ბოლოს დისონანსი შეიტანა ეს მესოპოტამიის და მდ. ანკრი—სომმის ოპერაციებმა. 1916 წ. და 1917 წ. დასაწყისი—იმის მაჩვენებელი იყო, რომ ომის ინიციატივა ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებმა იგდეს ხელთ. ინგლის ფრანგები საჭირო ორგანიზაციულ მომზადების შემდგომ ინტესიურად უტევდენ დასავლეთის ასპარეზით. სადაც მათ 130 ვერსის მანძილით წინ წაიწიენ. ამ ჟამად გერმანეთიც ხმელეთზე ყველგან მოგერიებითს ტაქტიკას ადგა, მხოლოდ ზღვაში აწარმოებდა შეუბრალებელ ტერორს.

ფრანგ-ინგლისელები ამ ხანადაც შეტევითი ომს აწარმოებენ მდინარე ანკრ-სომმას ხაზით. რაც შეეხება ომის დანარჩენ ასპარეზებს, საქმე შემდეგნაირად არის. მესოპატამიაში მას შემდეგ, რაც ინგლისელ გენერალ რიუმის საექსპედიციო ლაშქარმა ბაღდადი დაიპყრო, ცვლილება არ მომხდარა. ინგლისის ჯარს ამ ჟამად წყალდიდობა და ჰავა უშლის მოქმედებას. მესოპოტამიაში ძლიერი სიცხეები დაიჭირა და ამასთანავე მდინარე ეფრატი და ტიგრი ადიდდენ. რუსის ჯარი, რომელიც მიემართებოდა ინგლისის საექსპედიციო კორპუსთან შესაერთებლად ჯერჯერობით მდინარე დიალს ვერ გასცილებია, რადგან სპარსეთში მისი მდგომარეობა არ არის უზრუნველ ყოფილი.

სამხედრო ბანაკი ნაკლებ ცნობებს იძლევა კავკასიის ბრძოლის ველის შესახებ. მას შემდეგ, რაც ოსმალებმა მუში, ბითლისი, ოგნოტი, მერფუთი აიღეს, რა მოხდა ჩვენ არ ვიცით. ცხადია ოსმალნი ამ ადგილების დაბრუნებით ვერ დაკმაყოფილდებოდენ და სადმე აწარმოებენ დიდ, შორეულ მიზნის მქონე, შემოტევას, რაც ჯერ ხანობით ჩვენთვის ბურუსით მოცული რჩება.

რუსეთის დასავლეთის ასპარეზით მდგომარეობა უცვლელია. ოფიციალი ცნობები ისევ განმეორებით ადასტურებენ იმ ცნობას, რომ გერმანეთის მთავარ-სარდლობამ რუსეთის ასპარეზით მყოფი ლაშქარი მდინარე ანკრისა და სომმას ფრონტებზე გადიყვანაო. გადაჭრით ძნელია იმის თქმა, თუ რას მიეწერება გერმანეთის სამხედრო ბანაკის ასეთი ნაბიჯი.

ომის მეცნიერება ამბობს: „პირდაპირობას ყოველთვის დაერიდე, ომი იქ აწარმოე, სადაც საადვილოა და მეტსაც ისარგებლებო.“

ყველასათვის ცნობილია, რომ ამ მომენტში ვილჰელმს რუსეთის მიმართ უფრო ეადვილება ბრძოლა. რასაც ნათელ ჰყოფს ფელდმარშალ ჰინდენბურგის განცხადება. მან სთქვა, ომის წარმოებაში რუსეთის რევოლუციამ დიდი სამსახური გაგვიწიაო.

რას უნდა მიეწეროს დასავლეთის ასპარეზზე ჯარების გადაყვანა. ნუ თუ ვილჰელმ ჰოჰენცოლერნი რუსეთის რევოლუციურ ზეიმს მოუხიბლავს და იგი მზად არის რუსეთს აღარ ებრძოლოს?

ძნელი დასაჯერია.

ჰინდენბურგი აცხადებს, რომ ამ დროულად მას ჯარში ორგანიზაცია აქვს მოხდენილი, რეზერვები იმდენი ყავს, რამდენიც ამ ომის განმავლობაში გერმანეთს არ ჰყოლია, მთავარ-სარდლობას საქმე ყველგან კარგად აქვს და, თუ კი გეგმა უჩვენებს, მზად არის ყოველ ფრონტზე ენერგიული ბრძოლა - შეტევა გააჩაღოს.

ამ განცხადების შემდგომ ვილჰელმი ვერ იქნება რევოლუციურ გუნებაზე და იგი იმისთვის ალბად ახალ გეგმას ამზადებს. გერმანელებს აღმოსავლეთით, როგორც თვით ჰინდენბურგმა განაცხადა, არ ეშინიათ, რადგან ბრუსილოვი შეტევას ვერ დაიწყებს, მხოლოდ დასავლეთით ამოქმედებულ ინგლის-ფრანგებს დატუქსვა კი სჭირია, რასაც ასრულებს კიდეც. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰინდენბურგმა რუსეთისკენ დიდძალი ჯარი მაშინ გადმოიყვანა, როდესაც გენ. ბრუსილოვი შეტევის დაწყებას აპირებდა. რაც დღეს შექმნილ მდგომარეობის გავლენით საშიში აღარ არის.

როგორც ეტყობა მსოფლიო ომს ჯერ კიდევ რამდენიმე რთულ პერიოდის გავლა დასჭირდება. ვნახოთ რას მოგვიტანს ზაფხულის ბრძოლის კომპანია.

**ჯიხ.**

# რევოლუციის ამბები

პ. დ. ს.

## დეპეშები

### კითხვა ჯამაგირების გადიდების შესახებ.

**პეტროგრადი.** 8 მაისი. ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის წერეთლის წინადადებით დროებითმა მთავრობამ ფინანსთა მინისტრს დაავალა შეიმუშაოს პროექტი ყველა დაწესებულების მოსამსახურეთა ჯამაგირის გადიდების შესახებ.

### გენ. ალექსეევის სიტყვა.

**პეტროგრადი,** 7 მაისი. პეტროგრადში არმიის და ფლოტის ოფიცრების ყრილობაზე აწინდელმა სრულიად რუსეთის ლაშქრის მთავარ სარდალმა გენ. ალექსეევმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა. „უღრმეს მადლობას მოგახსენებო თქვენ სამშობლოს ერთგულნო ოფიცრებო და ჯარის კაცებო, რომ მეგობრულად შემხვდით. სამწუხაროდ ჩემი გული ვერ მოგითხრობთ სასიხარულო ამბავთ. მდგომარეობა ჩვენი მეტად საძნელოა. ყოველ დღიურ გამოცემებში თქვენ შენიშნავდით მოკლე სიტყვას —სამშობლო გასაჭირშია“. ოჰ! რას იგრძნობთ, რომ ამ სიტყვების სიღრმეში ჩაიხედოთ! სამშობლო ჩვენი არათუ განსაცდელშია, არამედ იგი ჯოჯოხეთის პირას სდგას და საკმარისია პატარა წაბორძიკება, რომ ქვესკნელში გადიჩეხოს. რათ მოხდა ასე? იმიტომ რომ ყველას დაგვავიწყდა მოქალაქობრივი მოვალეობა. გამოგიტყდებით და მოგახსენებთ, რომ დღეს საშინლად დაეცა რუსეთის მხედრობის წინანდელი ძლიერება. გუშინ მამაცი ჩვენი ჯარის-კაცი დღეს გულაცრუებული სამხედრო ძალის დეზორგანიზაციას უწყობს ხელს. მტერი კი ამავე დროს ბობოქრობს. მან დაიპყრო ჩვენი მიწა-წყლის მერვე ნაწილი და ახლა ემუქრება პოდოლს, კიევსა და ვოლინს ნუთუ ამდროს ჩვენ გულხელ დაკრებილნი უნდა ვისხდეთ! ჩვენი უტოპიური მოწოდება უკონტრიბუციო უანექსიო ზავისა მტერს არ სწამს და არც მიიღებს. საშინელია აგრეთვე შინაური სამოქალაქო მდგომარეობა. ვერსად ვხედავთ ერთ ძლიერ მთავრობას, რომელიც ყოველ მოქალაქეს სამშობლოს სასამსახუროდ უნდა მოუწოდებდეს. ყველგან უპასუხოსმგებლობა გამეფებულა. ჩვენი დღევანდელი ყოფა უარესია იმაზე, რომელშიც ჩვენ ამ სამასი წლის განმავლობაში ვიყავით, მაგრამ მაშინ მხოლოდ ერთი მტერი რომანოვი გვყავდა, რომელიც იმას მაინც არ ჰქადაგებდა, რომ სლავიანობა ნაგავია, რომელიც გერმანეთი კულტურის ნიადაგის გასაპოხიერებლად გამოადგებაო. რომანოვი მეტად სუსტი მტერი იყო, მხოლოდ გერმანეთი დიდათ ძლიერია და ტყვისმტყორცნელებს ჩვენ უანექსიო-უკონტრიბუციო ზავით ვხვდებით. არა ბატონებო, ასეთი ყოფა შეუძლებელია. თქვენ თუ სამშობლო გწამთ, დღესვე უნდა შეუდგეთ მის შველას. უპირველეს ყოვლისა საჭიროა სულიერად დაცემულ ლაშქრის აღდგენა და გამაგრება. რაც შეეხება სახელმწიფოს დანარჩენ კითხვებს, იგი სავსებით უნდა გადაეცეს დამფუძნებელ კრებას, რომლის საჩქარო მოწვევაც თქვენ უნდა მოითხოვოთ საჭიროა შეთანხმებული, სამშობლოს ინტერესთან შეფარდებული, მოქმედება. უამისოდ ჩვენი ხსნა არ შეიძლება. გენ. ალექსეევის სიტყვას ოფიცრები დიდი აღფრთოვანებით მიეგებენ.

### ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის წერეთლის მიმართვა.

**პეტროგრადი.** 8 მაისი. ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრმა წერეთელმა ყველა დაწესებულებებს და მოსამსახურეთა ორგანიზაციებს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„ავასრულე ნება პეტროგრადის მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოსი და შევედი დროებითი მთავრობის შემადგენლობაში. დროებითი მთავრობის 6 მაისის დეკლარაციაში გარკვეულათ არის აღნიშნული მოვალეობა რევოლუციურ მთავრობისა.

უმთავრესი მოვალეობა დროებით მთავრობისა შინაურ პოლიტიკაში არის, გაამაგროს რევოლუციით მოპოებული უფლებები, საყოველთაო დაცვა მშრომელ მასის ინტერესების და დამფუძნებელ კრების მოწვევა, რომელმაც უნდა დაამტკიცოს რუსეთის სახელმწიფო წესწყობილება, რომელიც შეეფერება თვით ხალხის მოთხოვნილებებს. საგარეო პოლიტიკაში დროებითი მთავრობა ყოველივე ღონეს იხმარს, რაც შეიძლება მალე ჩამოაგდოს ზავი დემოკრატიულ საფუძვლებზე აგებული, რომელიც უარყოფს ყოველივე ძალმომრეობას, საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდეს იგი.

მაგრამ სანამ რუსეთის რევოლუციურ დემოკრატიის მიერ შემუშავებული ზავის პირობები ვერ პოულობს თანაგრძნობას მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა მთავრობა დემოკრატიასთან ერთად იცავს ქვეყანას მოსალოდნელ დაღუპვისა და დარბევისაგან და ყოველივე ღონეს იხმარს, რათა გაამაგროს, როგორც ფრონტი, ისე ზურგი რევოლუციურ რუსეთისა.

რუსეთის დემოკრატიულად მოსაწყობათ დროებითი მთავრობა იხელმძღვანელებს ხალხის ნებით. ყოველივე ამისთვის გვიხდება განსაკუთრებულ მძიმე პირობებში მუშაობა. ძველმა, რეჟიმმა საშინელი მოუწყობლობა დასტოვა. დაბნეულია ხალხის დოვლათი, სახელმწიფოს ფინანსები, უხნეო მდგომარეობაში სასურსათო საქმეც. მხოლოდ მთავრობას, აღჭურვილს უფლებით, აღჭურვილს ხალხის ნდობით, მთავრობას მომქმედთ მედგრად, რასაკვირველია, დემოკრატიულ ორგანიზაციების ხელის შეწყობით, შეუძლია ქვეყანა კრიტიკულ მდგომარეობიდან გამოიყვანოს.

(გაგრძელება იქნება).

### კერენსკი.

პეტროგრადი, 10 მაისი. ფინეთიდან დაბრუნდა სამხედრო და საზღვაო მინისტრი ალ. კერენსკი. კერენსკიზე ცუდი შთაბეჭდილება მოუხდენია ფინეთის გაფიცვებს. კერენსკის განზრახული აქვს ყველა ბრძოლის ასპარეზების დათვალიერება და მომქმედ ჯარის წარმომადგენლებთან საუბარი.

### კერენსკი ფინეთში.

**პეტროგრადი.** 8 მაისი. ღამით სამხედრო მინისტრი კერენსკი ფინეთში გაემგზავრა დაბრუნებისას ფრონტზე წასვლას აპირებს.

### გზათა მინისტრის მოგზაურობა.

**პეტროგრადი.** 8 მაისი. პეტროგრადიდან გავიდა გზათა მინისტრი ნეკრასოვი. იგი ჩავა მოსკოვში. კურსკში. ხარკოვში და ეკატერინოსლავში.

### მოხელეთა კრება

პეტროგრადი. 8 მაისი. გზათა სამინისტროს შენობაში მოხელეთა საერთო კრება მოხდა. კრების შემდეგ გაეგზავნა დეპეშა მინისტრთა თავმჯდომარეს ლვოვს და პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს.

### მინისტრ შახოვსკოის პროგრამა.

პეტროგრადი, 8 მაისი. სახელმწიფოებრივ მზრუნველობის თავ. შახოვსკოი ამ სამინისტროს მთავარ მიზნად ისახავს არა ქველმოქმედების განვითარებას. არამედ შემოქმედებითს შრომას, რათა ყოველმა შრომის უნარის მქონემ იგრძნოს თავი მშრომელად, მოსაქმედ და არა ისეთს კაცად, რომელიც ქველმოქმედებას საჭიროებს. განსაკუთრებული ყურადღება ომში დაზარალებულთ უნდა მიექცეს. ნაწილობრივი შრომის უნარიც გამოსაყენებელია. საჭიროა აგრეთვე ისეთი დაწესებულებათა შექმნა. რომელნიც მისცემენ დასახიჩრებულთ და უხელფეხოთ საშვალებას ყოველგვარი ხელსაქმით და მოსაწყობებით ისარგებლონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

## დეპეშები.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი** 9 მაისი. ოფიციალი. შამპანში მტრის არტილერიის ცეცხლს, გუშინ ჩვენ მიერ დაკავებულ პოზიციებზე ქალ. კორნიელსა, კასკასა და ტეტონის ჩრდილოეთით მოჰყვა მტრის ქვეითი ჯარის იერიშები, რომელნიც მოვიგერიეთ. მტერი საგრძნობლად დაზარალდა. ტყვეთ წამოვიყვანეთ 1000-მდი დაუჭრელი კაცი, რომელთა შორის 28 ოფიცერია, არტილერიის ცეცხლი ცვალებადი ხასიათისა, თუმცა სულ მკაცრი იყო. ვოკლერის მაღლობზე მტერმა სცადა სწრაფი თავდასხმა მოეხდინა, მაგრამ უკუ ვაქციეთ, ჩვენის მხრითაც დავესხით მტერს თავზე და 15-მდე ტყვე წამოვიყვანეთ.

**ლონდონი** 8 მაისი. დღით, ვილეკურას ჩრდილოეთით დავიკავეთ ჰინდებურგის ახალი პოზიციები. მტერს წინააღმდეგობა არ გაუწევია. მოსული ცნობების მიხედვით მტერი ამრაიონში ძალზე დაზარალდა. ვილენკურის დასავლეთით 2000 იარდის სიგრძით გამონაკლისით ჰინდერბურგის მთელი ხაზი ჩვენს ხელთაა, დაწყებული ვილეკურის ერთი მილით დაშორებულ ადგილიდან არასამდის. გერმანელთა არტილერიამ სკარპის ჩრდილო ნაწილებთან ძლიერი მოქმედება გააჩაღა.

### რუმინეთის და კავკასიის ასპარეზები.

**პეტროგრადი** 12 მაისი. ოფიციალი. ჩვეულებრივი სროლა და მფრინავთა მოქმედებაა.

### მფრინავთა მოქმედება.

**პეტროგრადი** 12 მაისი. ოფიციალი. ბლოკთან, რიგის დასავლეთით, მტრის თვით მფრინავებმა 4 ყუმბარა ჩამოაგდეს, 10 მაისს გალიჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოხდა ჰაერში ბრძოლა მტრის ალბატროსისა და ჩვენი მფრინავის, კაპიტანის მოდრახის შორის. მტრის აპარატი სწრაფად ძირს დაეშვა თვისავე ბანაკში. ჩვენი ქვეითი ჯარის მზვერავებმა დაინახეს თუ მტრის ჯარისკაცებმა როგორ წაიყვანეს დაჭრილი მფრინავთ მოწინააღმდეგისა. მათი ჰაეროპლანი დაიმსხვრა.

**ლონდონი** 8 მაისი. გუშინ ჩვენმა მფრინავებმა გაცხოველებული მოქმედება გამოიჩინეს. ბევრ ადგილებში წარმატებით ჩამოყარეს ყუმბარები და ჩვენს ქვეითა ჯარს მეტად უწყობდნენ ხელს იერიშების დროს გერმანელთა სანგრების წინააღმდეგ. ჰაერში ბრძოლის დროს ჩამოვაგდეთ გერმანეთის 7 ჰაეროპლანი, რომელთაგან ერთი ჩვენს ბანაკში ჩამოვარდა. 8 ჰაეროპლანი მიყენებული ზიანის გამო იძულებული გავხადეთ ძირს დაშვებულიყვნენ. ჩვენი საზენიტო იარაღის წყალობით ნაყოფიერათ ვესროდით კიდევ ერთს მტრის საფრენ მანქანას. ჩვენ დაგვაკლდა 4 ჰაეროპლანი.

### კავკასიის ასპარეზი.

**მთავარი ბანაკი,** 10 მაისი. სროლა და მზვერავთა თარეშია.

9 მაისს ოსმალონი შეეცადენ ერძინჯანის ჩრდილოეთით, მაგრამ შევაჩერეთ.

აღმოსავლეთისა და რუმინეთის ფრონტებზე ადგილობრივ ხასიათის ბრძოლებია.

### დასავლეთის ასპარეზი

**ლონდონი** 10 მაისი ოფიციალი საფრანგეთში მომქმედი ჩვენი ჯარი მოულოდნელად შეიჭრა სტრის თხრილებში ვერშენელის ხაზზე. დანარჩენ ადგილებში მდგომარეობა უცვლელია.

### მფრინავთა მოქმედება.

**ლონდონი** 10 მაისი გუშინ ჩვენმა ჰაეროპლანმა ჩამოაგდო მტრის მფრინავი. ჩვენ დავკარგეთ ერთი მფრინავი აპარატი.

---

ქუთაისის ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა წრის კომისია ამით აუწყებს ამხანაგებს. რომ ოთხშაბათს 17 მაისს გაიმართება ეროვნულ დემოკრატ (განურჩევლად სქესისა) სტუდენტთა კრება, რომელიც მოხდება საადგილ-მამულო ბანკის შენობაში საღამოს 6 საათზე. ვსთხოვთ პროვინციაში მყოფ ამხანაგებსაც აუცილებლივ დაესწრონ.

ქუთ ერ. დემ. სტუდ. წრის კომისია.

## ახალი ამბავი.

დაპატიმრებულ მუსულმანთა შესახებ, რომელთაც აბრალებენ აჭარაში ჩეტნიკების ხელის შეწყობას, აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა საქმის დაუყონებლივ გამოძიება, რადგან როგორც სჩანს, არ უნდა იყოს სინამდვილეში აშენებული. საქმის გამოძიება გადაეცა იურიდიულ საგამომძიებლო კომისიას.

✦ სამკითხველოს დაარსება. ძველი ლაგირის ქუჩაზე დანიშნულია კრება, რომლის მიზანია სამკითხველოს გახსნა.

✦ არჯევანიძის წალკერის ტყის სკოლაში მიღებულია თფილისის გუბერნიიდან 30 ჯანით სუსტი ბავშვი ორივე სქესის. დანარჩენი ათი ალაგი ბ-ნ არჯევანიძეს შეუნახავს ქუთაისისათვის, სადაც ბავშვებს პირადათ მიიღებს ოთხშაბათს 17 მაისს, ივანოვის ქუჩაზე გაბუნიას სახლში, გ. ნიორაძის ბინაზე, საღამოს 5—6 ს.

— **ქალაქის თვითმართველობის საყურადღებოთ.** ღამეობით ფარნები ხშირად არ ინთება, რის გამოც სიარული ქუჩებში, განსაკუთრებით წვიმების დროს, ყოვლად შეუძლებელია. ჩვენი ქალაქის მამები მართალია ჩვეულნი არიან ქალაქის საჭიროებათა აბუჩად აგდებას, მაგრამ მცხოვრებლები მაინც მოითხოვენ მეტს ყურადღებასა და ზრუნვას.

✦ ნ. პ. ჯაიანმა და ექიმმა იაკ. ჩარექოვმა გაზ. ,,ჩვენი ქვეყნის'' ფონდისათვის შემოიტანეს შემოწირულება თითომ 25 მანეთი.

✦ დეზერტირების დაბრუნება. დროებითი მთავრობის მოწოდებამ დეზერტირებისადმი ნაყოფი გამოიღო. 14 და 15 მაისს. ქუთაისის სამხედრო უფროსთან ქუთაისის გუბერნიიდან 2000 მდე დეზერტირი გამოცხადდა. დეზერტირებს სიტყვა უთხრა აღმ. კომ. წევრმა ბ-ნმა გრ. ურატაძემ.

✦ ამ დღეებში სასურსათო კომიტეტი მოელის 15 ვაგონ ფქვილს.

— სასურსათო კომიტეტი აცხადებს, რომ იმ პირთ, რომელთაც აღწერის დროს არ მიუღიათ შაქრის ბარათები, დღეიდან ასეთი მიღება შეუძლიანთ მხოლო სარაიონო სასურსათო კომისიის წევრისგან მიცემულ ბარათის წარდგენის შემდეგ.

— **სასანიტრო საქმე** კვირას 14 მაისს სასანიტრო ექიმმა ბ-ნმა მაჭავარიანმა სასანიტრო ფერშალმა ვლ. ჟღენტმა და მილიციის უფროსმა პორუჩიკმა ივ. ჟღენტმა დაათვალიერეს ქუთაისის ბაზარი. ბაზარში დიდი უსუფთაობა აღმოჩდა სხვათა შორის დააკავეს რამდენიმე პირი, რომლებიც დეზინფექცია გაუკეთებელ ტანსაცმელებს ჰყიდიდენ. ბა-ნმა მაჭავარიანმა დაამტკიცა, რომ ბევრი ტანსაცმელი ნატიფარი იყო. გამყიდველებს ტანსაცმელები ჩამოერთვათ.

— **ბ-ნი მაჭავარიანი** აცხადებს, რომ თუ რომელიმე მცხოვრებს ექნება გასაყიდი ძველი ტანისამოსი წინასწარ მას უნდა წარედგინოს სანიტარულ შემოწმებისთვის ამას გარდა კომისიამ დაათვალიერა სასტუმროები რომლებიც აგრეთვე უსუფთაობაში აღმოჩნდენ. მაჭავარიანმა წინადადება მისცა სასტუმროთა პატრონებს, რომ მათ დაიცვან სისუფთავე. წინააღმდეგ შემთხვევაში სასტუმროები დაიკეტება.

— **ჯარის კაცთა საბჭომ** დაადგინა დაევალოს ოფიცრებს როტებში ჯარის კაცებთან ხშირხშირად იქონიოს საუბარი იმის შესახებ, თუ რა ცუდ შედეგების მოტანა შეუძლია სახელმწიფოსთვის დეზერტირობას და სახაზინო ნივთების გაყიდვას.

### თბილისი.

✦ **ქართული უნივერსიტეტი.** ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ერთ წრეში ქართული უნივერსიტეტის დაარსების აზრი დაბადებულა. პირველათ მოწყობილი იქნება „სიბრძნის ფაკულტეტი", რომელიც შეაერთებს ორ ფაკულტეტს: საისტორიო ფილოლოგიურს და აღმოსავლეთ ენებისას.

✦ **ახალი წიგნი „თამარ მეფე".** მ. გ. ჯანაშვილის ახალი წიგნი „თამარ მეფე", გამოცემა თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოებისა. წიგნი მოზრდილია და ღირს 1 მან. 20 კაპ.

✦ **ჩხრეკა. დაპატიმრების წესი.** ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ გაჩხრეკა, დაპატიმრება, იარაღის ჩამორთმევა და სხვ. მხოლოდ კომიტეტის ორდერით უნდა ხდებოდეს და სხვას ამისი უფლება არ აქვსო; ვინც ამ. წესს დაარღვევს, პასუხისგებაში მიეცემაო.

# საჭირო აგენტები.

მიაკითხეთ ,,ჩვენი ქვეყნის'' კანტორაში.

— **სანატორიუმი პოლიტიკურთათვის.** განთავისუფლებულ და დაავადმყოფებულ პოლიტიკურად დამნაშავეთათვის სანატორიუმის მოწყობა აბასთუმანში იკისრა ერობათა კავშირის ამიერ-კავკასიის განყოფილებამ.

— **ამიერ კავკასიის კომისამა ა. ჩხენკელმა** დაუგზავნა ყველა საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტებს სამხედრო და საზღვაო მინისტრ კერენსკისაგან მიღებული შემდეგი დეპეშა: ახლავე აუხსენით ჯარის კაცებს და ხალხს, რომ იარაღის ხმარება პოლიტიკურ ბრძოლაში შეუწყნარებელი და აკრძალულია. უფლება თავისუფლებისა არ გამოიხატება კერძო ჯგუფის თვითნებით და თუ მსგავსი რამ ხდება ეს უნდა მოისპოს. მთავრობის ვალდებულებაა დაამყაროს სიწყნარე, წესრიგი, კანონიერება.

✦ **ეგნატე ნინოშვილის** ძეგლის დადგმის თაობაზე მოსალაპარაკებლათ ქ-ნი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა სთხოვს: ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელს, სილ. ჯიბლაძეს, არს. მამულაიშვილს, დიმ. კალანდარიშვილს, ვარ. ჭიჭინაძეს, იაკობ ნიკოლაძეს და დიმ. შევარდნაძეს მობრძანდენ კვირას, 14 მაისს „ჯეჯილის" რედაქციაში საღამოს 8 საათზე.

✦ თფილისში საზღვარ-გარეთიდან ჩამოვიდა ცნობილი ს. დ. მ. ცხაკაია.

✦ **ეროვნული საკითხის შესახბ საფრონტო ყრილობამ** ასეთი რეზოლუცია მიიღო:

“ყრილობა აღნიშნავს, რომ რუსეთის ყველა ერი ერთნაირად არის დაინტერესებული რუსეთის რევოლუციის გამარჯვებით და მისგან დასახულ მიზნების განხორციელებით, რადგანაც მხოლოდ რევოლუცია მიანიჭებს ერებს თავისუფლებას ეროვნულ განვითარებისას. ეროვნულ საკითხს მთელი სისრულით გადაწყვეტა შეუძლიან მხოლოდ დამფუძნებელ კრებას ყოველი ცდა ამ საკითხის გადაწყვეტისა დამფუძნებელ კრებამდე, როგორც მავნე შეუწყნარებელია! ამასთანავე ყრილობა შესაძლებლად სცნობს წინასწარ იდეიურ მზადებას, რათა ეროვნულ საკითხი დამფუძნებელმა კრებამ ამა თუ იმ მსოფლ-მხედველობის თანახმად გადასჭრას"

✦ **ახალი ქართული გაზეთი.** ამიერ-კავკასიის საოლქო და თფილისის კომიტეტი სოციალისტ რევოლიუციონერთა პარტიისა თფილისში ამ მოკლე ხანში ქართულს გაზეთს გამოსცემს. ამავ პარტიის გაზეთი სომხურს ენაზე ამ დღეებში გამოვა.

✦ **სახნავი მიწები.** საგლეხო ბანკის ამიერ- კავკასიის განყოფილებამ დაადგინა, ბანკზე დარჩენილი მიწები მოსახვნელად და დასათესად ადგილობრივ გლეხთ მისცეს იმ პირობებში, რომელსაც აღმასრულებელი კომიტეტები შეიმუშავებენ.

—სოც.-ფედერალისტების კონფერენცია 13 მაისს დასრულდა.

✦ **აქციზის 1 ოლქი.** 11 მაისს შესდგა 1 ოლქის აქციზის მოხელეთა კრება, რომელმაც უნდობლობა გამოუცხადა ამიერკავკასიის სააქციზო მმართველობას და აირჩია აღმასრულებელი საბჭო, რომელშიც შედიან: გ. ტატიშვილი, მიხაილოვიჩი, ვაისერმანი, მირიმანოვი და ფოკინი. კრებამ ნდობა გამოუცხადა ოლქის ზედხედველს პ. გვერდწითელს.

**დეკ ორეხოვის ურჩობა.** საქართველოს საეგზარხოსო საეკლესიო-სამრევლო სკოლების საოლქო მეთვალყურე დეკან. ორეხოვი არ ემორჩილება ქართველ მასწავლებელთა დელეგატების ყრილობისა და საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებლების დადგენილებას, რომლის ძალითაც ორეოვისამსახურიდან უნდა გამდგარიყო, ორეხოვი ასეთ დადგენილებას უკანონოთ სცნობს და სამსახურს თავს არ ანებებს.

### პროვინცია.

— **ხარაგაული** 14 მაისს უნდა მომხდარიყო არჩევანი ადგილობრივ კომიტეტის წევრთა. დილიდანვე ხალხი ბევრი შეგროვდა და მოითხოვა პარტიათა წარმომადგენელებისგან გაეცნოთ თავ-თავიანთ პროგრამა.

— სოციალ-დემოკრატთა წინადადებათა და სხვებთან შეთანხმებით წინასწარად გადაწყდა, რომ ახლა დრო არ არის პარტიულ გამოსვლებისა, ჯერ არჩევანი მოხდეს და მეორე ვიპაექროთო. მაგრამ ხალხმა ასეთი გადაწყვეტილება არ შეიწყნარა და თუმცა ყუთები გაამწკრივეს, კანდიდატებიც დაასახელეს, მაგრამ ხალხი ნელ-ნელა აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდა და, რადგანაც ყუთებთან ძალიან მცირე რიცხვი დარჩა, კრების თავმჯდომარე (ს. დ.) იძულებული შეიქნა კრება სხვა დროისათვის გადაედო. ხელ-ახლი არჩევანი დანიშნულია 21 მაისისათვის.

დაწვრილებით შემდეგ. ახლა კი გაკვრით აღვნიშნავთ, რომ სოფელს, გლეხ-კაცობას, დიდი გამოფხიზლება ეტყობა და აღარ სურს ბრმა იარაღი იყოს ვისმეს ხელში.

დაჟინებით მოითხოვს თითოეული პარტიისაგან დაწვრილებითა და მიწევნით, დაუფარავად, გააცნოს საბოლოო მიზანი მათის მოძღვრებისა.

ეს ასეც უნდა, იყოს რადგანაც ზოგიერთი პარტიის საბოლოო მიზანი და ქართველი გლეხის ინტერესები ძალზე განსხვავდებიან.

დრო არის პარტიები ვემსახუროთ ხალხს და არა ხალხი პარტიას.

ამაშია ხსნა ჩვენის ხალხისაც, კერძოდ და რუსეთის, რევოლუციისათვის საზოგადოდ.

**დამსწრე.**

**სამტრედია.** ადგილობრივ კლუბში 11 მაისს გაიმართა სახალხო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნა ახალი პიესა „რევოლუცია პეტროგრადში" დრამა 5 მოქ. პიესამ ყველა დააინტერესა და კლუბის დარბაზს აუარებელი ხალხი მოაწყდა. სამწუხაროდ პიესამ ვერ დააკმაყოფილა თანამედროვე ადამიანის გემოვნება. პიესიq სიუჟეტი ვერ არის მართლა აღებული და იგი პეტროგრადის წითლად მღელვარე ქუჩებს კი არ გვიხატავს, არამედ იგი წარმოადგენს სურათს რომელიმე პროვინციის ქალაქის, რომლისთვისაც ავტორს რევოლუციის ცენტრალ ადგილის სახელი უწოდებია.

X

### საქ. ერ. დემ. პარტიის პირველი და დამფუძნებელი ყრილობა.

მაისის 28 თბილისში მოწვეულ იქნება პირველი და დამფუძნებელი კრება ეროვნულ დემოკრატიულ პარტიისა.

**ყრილობის წეს-რიგი**

**1. საპროგრამო საკითხები:**

ა. საქართველოს ავტონომია.

ბ. საქართველოს ტერიტორია.

გ. საქართველოს ფინანსები.

დ. საავრარო საკითხი საქართველოში.

ე. ავტოკეფალია და სარწმუნოებათა საკითხები საქართველოში.

**2. სატაქტიკო საკითხები:**

ვ. პოლიტიკური მომენტი: რევოლუცია, ომი და ზავი, ახალი მთავრობა, დამფუძნებელი კრება.

ზ. საქართველოს მოსაზღვრე ერები და ოსმალეთის საქართველოს საკითხი.

ც. საქართველოს საპოლიტიკო პარტიები და ეროვნული საბჭოს მოწყობა.

**3. საორგანიზაციო საკითხები:**

თ. მოხსენება მთავარი კომიტეტისა.

ი. მოხსენებანი ადგილობრივი კომიტეტებისა.

კ. პარტიული პრესა.

ლ. არჩევნები.

ყრილობაზედ გასაგზავნი წარმომადგენელნი უნდა აირჩეს პარტიის ადგილობრივ წევრთა საერთო კრებებზედ, ყოველ ას წევრზედ თითო, სადაც ას წევრზედ ნაკლებია. იქ ერთი წარმომადგენელი უნდა აირჩეს.

თუ პარტიის წევრთა საერთო კრების მოწვევა შეუძლებელი იქნება, წარმომადგენელს ადგილობრივი კომიტეტი აირჩევს.

საქ. ერ. დემ. პარტიის

**მთავარი კომიტეტი.**

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.**

**სამტრედია.** პარასკევს 12 მაის. ახლად დაარსებულ კლუბის დარბაზში შესდგა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კრება. დამსწრე საზოგადოებამ საერთო მსჯელობა იქონია ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამის შესახებ რაც ქართულ ცხოვრებისთვის შესაფერად აღიარა. კრებამ დაადგინა მოიწვიოს საჯარო ყრილობა, რომელსაც უნდა დაესწრენ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალ კომიტეტის წევრები ქუთაისიდან და თფილისიდან. განსახილველია შემდეგი კითხვები. 1) შეიკრას ადგილობრივი ორგანიზაცია, ამოირჩეს პარტიის კომიტეტი და თუ საჭირო იქმნა გაიხსნას პარტიული ბიურო.

X.

### ვ. გუნიას იუბილე-ზეიმი ქუთაისში.

ვამბობთ იუბილე-ზეიმი იყო, მაგრამ არა იმ ფართე მნიშვნელობით, როგორი სადღესასწაულო მნიშვნელობითაც შეუძლია კაცს წარმოიდგინოს რაიმი ზეიმი-დღესასწაული, არამედ უფრო უფერული მნიშვნელობით.

უნდა ვსთქვათ, საყვარელ პიროვნებას, ძვირფას ვალიკოს ღირსეულათ ვერ დავხვდით.

იმ კაცს, რომელმაც თავისი ცოცხალი ძალა ქართველი ერის გათვითცნობიერებას შესწირა; იმ მოციქულს, რომელმაც განიძარცვა სამასი თვისი, დადგა ლოცვით და გადაგვარების გზაზე მდგომ ქართველ საზოგადოების ეროვნულ მშვენიერების ღმერთის სამსახურს ასწავლიდა; იმ მძლე პიროვნებას, რომელმაც უარჰყო ყოველივე პირადი ბედნიერება და მთელი 35 წლის განმავლობაში თვისი მჭექარე ხმით გზა დაბნეულ მოძმეთ გასძახოდა: „ასე წადი, ასე იარეო", აი, ამ ძვირფას ადამიანს ჯეროვანი მასპინძლობა ვერ გავუწიეთ.

და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. უნდა მომხდარიყო, იმიტომ რომ დღევანდელი მეტად სერიოზული და ათასი თავსამტვრევი კითხვების წარმომშობი მომენტი სულ სხვანაირ განწყობილებასა და მოქმედებას თხოულობს.

მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, ვალიკო იმდენად მძლე პიროვნება იყო, რომ ასეთ რამეს ყურადღებას არ მიაქცევდა და კეთილი გულით მიძღვნილს მცირედსაც შეიწირავდა.

გამსჭვალულმა ამ იმედით ქუთაისის ქართულმა საზოგადოებამ 13 მაისს, ქალაქის თეატრში მადლობის ზეიმი გაუმართა. ზეიმს ხალხი საკმაოთ დაესწრო.

დაიდგა „ღალატი-"დან მეორე მოქმედება. ოთარბეგის როლს თვით იუბილიარი ასრულებდა. გამოვიდა თუ არა იგი სცენაზე, საზოგადოება მიეგება მას ტაშით და თაიგულები მიაწოდა.

შემდეგ დაიდგა ვოდევილი გამარჯვებულთ არ სჯიან."

ბოლოს კი გაიმართა საზეიმო სხდომა. სხდომის დაწყებამდი იუბილიარს მიესალმა ბ-ნი აკ. ფაღავა და ურჩია საზოგადოებას თავმჯდომარეთ აერჩიათ ქალაქის თავი ჩიქოვანი, რაც მიღებულ იქნა.

ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის სახელით ვრცელი სიტყვით მიმართა იუბილიარს ქილაქის თავმა ჩიქოვანმა. დრამატიული წრის სახელით უსურვა სიცოცხლე ძვირფას იუბილიარს ეფ. მესხმა. მიულოცეს და ცოტაოდენი წვლილიც მიართვეს აგრეთვე ვაჭართა სახელით მახარაძემ, ქართულ გიმნაზიის სახელით მგალობლიშვილმა, რომლის გრძნობიერმა სიტყვამ იუბილიარს თვალზე ცრემლიც წამოადენინა.

გრძნობიერი ლექსები, უძღვნეს ჯარის-კაცთა ჯგუფის სახელით ნიჟარაძემ; ქართული გიმნაზიის მოწაფეთა სახელით ერთმა მოწაფემ და ახალგაზდა მგოსანმა ცვარ-ნამმა. განსაკუთრებით ამ უკანასკნელის გრძნობიერმა გრძნობითვე წაკითხულმა ლექსმა დამსწრე საზოგადოება და თვით იუბილიარი აღტაცებაში მოიყვანა.

ჩაწერილთა სია დასრულდა, დასასრული სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა გ. ლაღიძემ.

სრული 1 საათი იყო, ზეიმი რომ გათავდა და დამსწრე საზოგადოებამ იუბილიარი ტაშის ცემით მიაცილა სასტუმრომდი.

ღ—თ.

### აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირების წარმომადგენელთა შეერთებული კრება.

ოთხშაბათს, 10 მაისს, ქ. ქუთაისში ქართული გიმნაზიის დარბაზში, ნაშუადღევის პირველ საათზე, მოხდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა, ქართველ მასწავლებელთა და ქუთაისის სახალხო მასწავლებელთა კავშირების წარმომადგენელთა შეერთებული კრება, რომელსაც დაესწრენ თბილისიდან ჩამოსულნი ფილ. მგელაძე და ლევ. ჩიმჩაძე, ქუთაისის სამი კავშირის წარმომადგენელნი მიხ. თაქთაქიშვილი, ა. ქავთარაძისა, ო. პეიშვილის ასული, ვლ. ნაცვლიშვილი, ან. შუბლაძე, არ. ჩხუბკელი, ი. თევზაძე, ავქ. ლორთქიფანიძე, ნ. ნადირაძის ასული, ნ. კიკალიშვილი, ვ. მეფარიშვილი, ლ. შურღაია და სამოსწავლო უწყების კამისარები ს. ხუნდაძე, ი. ოცხელი და ს. რობაქიძე. კრებაზე განსახილველი საგანი იყო—საერთო სამოქმედო გეგმა და სკოლის ნაციონალიზაცია.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ი. ოცხელი, მდივნებათ ვლ. ნაცვლიშვილი და ან. შუბლაძე. პირველად ფილ. მგელაძემ თავისი მოკლე მოხსენებით გააცნო დამსწრეთ აღმოსავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის დადგენილება ყველა დაბალსა, საშუალ სასწავლებლებში კი-პირველ კლასამდე ნაციონალიზაციის განხორციელების შესახებ.

შემდეგ თავმჯდომარემ დასვა ასეთი საკითხი: ნაციონალიზაცია დაბალს და უმაღლეს პირველ დაწყებით სკოლებში და საშუალო სასწავლებლებში.

ამის შესახებ ილაპარაკა რამოდენიმე ორატორმა; ზოგი იმის მომხრე იყო, რომ ნაციონალიზაციის განხორციელება სექტემბრიდან შესაძლებელია დაბალი დაწყებითი სკოლების ყველა განყოფილებებში, უმაღლეს პირველ დაწყებით და საშუალ კასწავლებლებს იომ შისამზადებელსა და პირველ კლასებში, სოგი კი შესაძლებლად სცნობდა ნაციონალიზაციის განხორციელებას როგორ დაბალსა, ისე უმაღლესი დაწყებითი სკოლების ყველა კლასებში და საშუალო სასწავლებლების პირველ ოთხ. კლასში. მიღებულ იქნა ხმის უმეტესობით მეორე წინადადება. კრებამ დაადგინა ასეთი რეზოლუცია ეცნობოს დასავლეთ საქართველოს ყველა სასწავლებლებს; მასწავლებელთა მოსამზადებლად გახსნილ იქნას ეხლავე მოკლე ვადიანი კურსები სხვადასხვა რაიონებში, რისთვისაც მასწავლებელთა კავშირების გამგეობამ შეადგინოს ხარჯთ აღრიცხვა და აღძრას შუამდგომლობა ამიერ კავკასიის კომისარიატში, რათა გამოიძებნოს საშუალება ასეთი კურსების მოსაწყობად; დაწყებითი სკოლის ახალი ტიპისა და იმის პროგრამების შემუშავებას დღეიდანვე შეუდგეს არჩეული კომისია.

**ლადო ბზვანელი.**

### ქუთ. სამრეწველო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება.

მაისის 14, დღით კვირას საადგილ—მამულო ბანკის დარბაზში მოხდა ქუთაისის სამრეწველო-სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. ბ. ი. ფანცხავას თავმჯდომარეობით. პირველ ყოვლისა დაისვა კითხვა, დაიწყოს დაუყოვნებლივ, თუ დროებით შეჩერებულ იქმნას ახალი ბანკის მოქმედება. გამოითქვა აზრი, რომ დიდმა რევოლუციამ ცხოვრების ყოველ მხარეს თავისი ბეჭედი დასდვა და ამისათვის საჭიროა წესდების შესწორება. ხანმოკლე კამათის შემდეგ ფარული კენჭის ყრით გადასწყდა: დაუყოვნებლივ დაიწყოს ახალი ბანკის მოქმედება. ბ. ი. კაკაბაძე აცხადებს, რომ მას ასეთი გადაწყვეტილება უმრავლესობისა ვერ აკმაყოფილებს, წევრობაზე უარს ამბობს და დარბაზს სტოვებს მას მხარს უჭერენ მღვ. სპ. ლეკვეიშვილი და ს. კილაძე. თავმჯდომარე წინადადებას იძლევა დაასახელონ კანდიდატები გამგეობაში. კრება ასახელებს ბ. ვ. ჭილაძეს, ჯ. ჯორჯიკიას, გ. სვანიძე, ალ. ჯაფარიძე და ვ. არდიშვილს. ბ. ჯაფარიძე და არდიშვილი უარს აცხადებენ. შემდეგ ამისა ერთხმათ აირჩიეს გამგეობის წევრებად: ვ. ჭილაძე, ჯ. ჯორჯიკია და გ. სვანიძე საბჭოს წევრებათ: მ. თაქთაქიშვილი, ი. ფანცხავა, სოლ. მიქელაძე, ალ. ჯაფარიძე, თ. მთავრიშვილი, ალ. კრიხიცკი, ან. ოდიშარია, ვ. ბეჟანეიშვილი და სიმ. ჟორჟოლაძე. სარევიზიო კომისიის წევრებად: ალ. ჩხეიძე, ნ. კორძაია და ანდ. მეფისაშვილი. კანდიდატებად: ალ. მიქელაძე და ერმ. ჭარხალაშვილი.

**დამსწრე.**

# ეროვნული კითხვა.

## ეროვნული ჯარები

**კიევი**, 8 მაისი პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭომ მიმართა უკრაინელ ჯარისკაცთა კრებას დეპეშით, რომ საკითხი ცალკე ეროვნულ ჯარების დაწესების შესახებ გაირჩევა მთელი რუსეთის ყრილობაზე. საგანგებო კომისია ეროვნულ ორგანიზაციათა და გენერალურ შტაბის წარმომადგენლებისა არკვევს, თუ როგორ უნდა დაწესდეს ეროვნული ჯარი. მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს უკრაინელთა კრებას მოუწოდოს უკრაინელ ჯარის კაცებს, რომ თავის ნებით ნუ აარსებენ ცალკე რაზმებს და მოიცადონ საერთო ყრილობამდე. უკრაინის ჯარისკაცთა კრებამ აუწყა დროებითს მთავრობას და მუშათა და სალდათთა საბჭოს, რომ ამ დღეებში გამოგზავნის ამ საგნისთვის საგანგებო დელეგაციას.

**მუშათა საბჭო და ეროვნული ჯარი.**

პეტროგრადი. 9 მაისი. მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს სალდათთა სექციამ ეროვნულ პოლკების შედგენის თაობაზე შემდეგი დაადგინა: პრინციპიალურად ყველა ერს აქვს თვით კამორკვევის უფლება, მაგრამ რადგან ამ ჟამად ცალკე პოლკების შედგენას ჯარის გათიშვა და დეზორგანიზაცია შეიძლება მოჰყვეს — ამიტომ სასურველად მიაჩნია მათი შედგენა, ხოლო უკვე არსებულ ეროვნულ ჯარის შევსებას მოხალისეებით სექცია მიესალმება.

**მაჰმადიანთა ყრილობის რეზოლუცია**

მაჰმადიანთა ყრილობამ. რეზოლუცია გამოიტანა. რომლის მიხედვით იმ ერებს, რომელთაც ისტორიული ტერიტორია აქვთ, უნდა მიენიჭოთ ტერიტორიული ავტონომია. მხოლოდ იმ ერების, რომელთაც ტერიტორია არ აქვთ, უნდა მიეცეთ კულტურულ-ეროვნული ავტონომია.

**ერცჰერცოგ ფრანც-სტეფანეს კანდიდატურა.**

ლიუბლინიდან იუწყებიან, რომ პოლონეთის სახელმწიფო საბჭომ 1 მაისს მიიღო რეზოლიუცია პოლონეთის რეგენტის შესახებ, რომელიც უნდა იყოს რომელიმე კათოლიკე სამეფო გვარიდან და იცოდეს პოლონური ენა. გაზეთები ლაპარაკობენ ერცჰერცოგის ფრანც სტეფანეს კანდიდატურის შესახებ.

**პოლონური ენა.**

სახალხო განათლების მინისტრმა ნება დართო უმანსკის გიმნაზიაში პოლონურ ენის, ისტორიის და ლიტერატურის სწავლება.

ეს საგნები სავალდებულო საგნებად ჩაითვლება.

**გალიციის ავტონომია.**

ვენიდან მოსულის ცნობით პოლონურ კლუბის თავმჯდომარემ ბელინსკის და მისმა მოადგილემ გლაბინსკიმ რწმუნებულებას თავი დაანებეს და საყვედური გამოსთქვეს; რომ გალიციის ავტონომიის საკითხის გადაწყვეტა ასე დაგვიანდაო.

**სიონისტების (ებრაელთა დამოუკიდებლობის მოტრფიალეთა) ყრილობა.**

მაისის 6 დაიწყო უკრაინის ოთხივე გუბერნიათა სიონისტების საოლქო კონფერენცია. მონაწილეობს ასამდე დელეგატი.

**ხარკოვი.** საგუბერნიო გლეხები მოითხოვენ ფედერატიულ-დემოკრატიულს რესპუბლიკას, ამის გადრა უკრაინის ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიას.

# მოწერილი ამბები.

**ს. სვირი** (ქუთაისის მაზრა) სასიხარულოა ს. სვირის მოწინავე პირთა დღევანდელი ლტოლვილება წინსვლისაკენ.

შეგნებულს ადამიანს ღრმად სწამს, რომ ჩვენი საუკუნოებით დაიარავებული სხეული სწრაფათ და ფხიზლათ მოითხოვს ყოველ გვარ წამლობას განკურნებისათვის.

და რადგან კაცობრიობის კეთილდღეობის მხნე-დარაჯთა ძლიერმა რაზმმა დღეს ჩვენ თავისუფალი გაგვხადა და მოგვანიჭა ადამიანის უფლება, ამისათვის დღესვე საჭირო ზომები მივიღოთ ჩვენი წინსვლისათვის და თვითგამორკვევისათვის. დაყოვნება ასეთ გვარი მოქმედებისა სიკვდილის შესადარია და თვითგამორკვევის დიდად შემაფერხებელი. რაც დღეს გასაკეთებელია, დღესვე უნდა გაკეთდეს და არამც და არამც ხვალისათვის არ უნდა გადავსდოთ. ყველა შეგნებულმა ადამიანმა, წევრმა სოფლისამ, თუ საზოგადოებისამ, თვით უნდა იზრუნოს თავის წარმატებისათვის და სხვის ამარა ნუ დარჩება.

სწორედ ამაზე მოგახსენებდით ზევით, რომ სასიხარულოა და წასაბაძი ს. სვირის მოწინავე ელემენტთა მოქმედება. აქ გაჩაღებულია მუშაობა. რომელი დარგისათვის არ გინდა, რომ არ იყოს შემდგარი კომისიები სამოქმედოთ. მაგალითად: სასურსათო, სანიტარული, საგზო, საგამომძიებლო, საანგარიშო და სხ. და სხ. ყველას მოეხსენება, რომ ამ ზემოთ დასახელებულ კომისიებს, თუ რა რთული მუშაობა მოეთხოვება; მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქმე დანიშნულებისამებრ შესრულდება, რადგან თვითეულ კომისიაში შედიან საქმით დაინტერესებულნი პირნი. თუმცა მკითხველ საზოგადოებამ უწყის, თუ რა სახის მუშაობა ევალება თითოეულ კომისიას, მაგრამ მე მაინც ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს მოკლეთ ვაუწყო მკითხველს ამათი დანიშნულებანი: სასურსათო კომისიის მოვალეობას შეადგენს საზოგადოების უზრუნველყოფა პირველ მოთხოვნილების საგნებით. ამისათვის ჯერ უნდა მოახდინოს გამოკვლევა, თუ რამდენი სანოვაგეა საჭირო მოსავლამდის, და მერმე უნდა იზრუნოს საჭირო რაოდენობის შესაძენათ.

სანიტარულს კომისისა მიზნათ აქვს თვალ-ყური ადევნოს ადამიანთა, ცხოველთა და ფრინველთა ჯანსაღობას. ევალება იზრუნოს, რომ, თუ მუდმივ არა, დროგამოშვებით მაინც (კვირაში ერთჯერ, ან ორჯერ), მოიწვიოს გამოცდილი ექიმი ადრიანათ დასახელებულ პუნქტზე, სადაც თავს მოიყრიან ავადმყოფნი გასინჯვისათვის. უნდა იზრუნოს აფთიაქის დასაარსებლათ. აგრეთვე უნდა მიღებულ იქმნას ზომები სასანიტარო ფონდის დასაარსებლათ, რომლის საშუალებითაც შევიძლება ყოველნაირ ნივთიერ დაბრკოლებას დავსძლიოთ.

ამავე კომისიის მიზანს შეადგენს საზოგადოებაში ავადმყოფებს მუდმივად თვალყური ადევნოს, ყურადღება მიაქციოს სისუფთავეს გზებში, ეზოებში, სახლებში და თვით ადამიანსაც კი, გასწიოს პროპაგანდა საზოგადოებაში სისუფთავის დასაცავად. ავალებს აგრეთვე იზრუნოს ყოველგვარად აგრეთვე ცხოველთა და ფრინველთა ჯანსაღობისათვის და მიიღოს ზომები მათი სნეულობის აღმოსაფხვრელად, თუ კი სადმე აღმოჩნდება. საგზო კომისიას ევალება იზრუნოს, დროის შესაფერად, გზების შესაკეთებლათ და გასაუმჯობესებლათ.

საგამომძიებლო კომისია ზრუნავს კერძო პირთა, ოჯახთა, მავნე უსაქციელო პირთა და სხვათა დანაშაულის გამოძიებას, მოდავეთა შერიგებას და სხ. საანგარიშო კომისიას დაევალა, ანგარიში უყოს ყველა იმ საკვიტანციო წიგნებს, რომლებიც წარმოებულია 1901 წლიდგან ვიდრე დღემდე როგორც „ოკლადისას“ (მიწის ბაჟისას), აგრეთვე წვრილმანისას; გამოიკვლიოს რაოდენობა საზოგადოებაზე აღებული ფულის, და ხაზინაში წაღებულისა; გამოძებნოს ის პირები, ვისგანაც გაფლანგულია საზოგადოებაზე აღებული ფული და სოფელს „ნედოიმკის“ სახით ხელმეორედ გადაუხდია და ეხლაც გადასახდელათ არის მოსული რამოდენიმე ათასი მანეთი. უკვე სოფელზე აღებული. ამ კომისიას მეტად რთული და დასაკვირვებელი მუშაობა ელის, რადგან კანცელარიის საქმე ძველი „მოსე მწერლებისაგან“ ძლიერ აფორიაქებულია და რაც ყალბი და საბუთის მაჩვენებელი წიგნები იყო საჭირო, ყველა დაკარგულ დამალულია.

ვუსურვოთ თავისუფალ კომისიებს თავისი დანიშნულებანი ღირსეულად შეესრულებინოს, დაეძლიოს ყოველივე დაბრკოლება და ხალხისაგან ნდობა და პატივისცემა დაემსახურებინოს.

**მ. სვირელი.**

# რუსეთი.

**თოვლი და ქარიშხალი.**

**კიევი.** 8 მაისი. გადაიარა ძლიერმა ქარიშხალმა, რომელმაც დნეპრის გემების პატრონებს დიდი ზარალი მიაყენა. აყვავებული ბაღები და მინდვრები ძალზე დაზიანდა. დღეს ქალაქში დასთოვა.

ორიოლი. 8 მაისი. მთელი დღე ბარაქიანად სთოვდა. მცენარეულობა და სახლის თავები თოვლმა დაფარა.

**„შავი წრის“ გარშემო.**

პეტროგრადში განაგრძობენ „შავი წრის“ დევნას, რომელსაც განზრახული ჰქონდა კერენსკის, წერეთლისა და ჩხეიძის მოკვლა. გაჩხრიკეს სასტუმრო „ოსტერია“ სადაც იპოვეს მეზღვაურის ტანსაცმელი და კერენსკის მისამართი. შეიპყრეს კასერენკოვის ქალი. იგი გამოტყდა „შავი წრის“ წევრობაში, რის შემდეგაც ზედამხედველობის ქვეშ გაათავისუფლეს.

**დატუსაღება.**

კიევში შეიპყრეს ოთხი ქალი, რომელნიც პეტროგრადს მიემგზავრებოდენ დროებითი მთავრობის წევრთა ამოსახოცავად.

**რა ხდება ცარიცინში?**

პეტროგრადში მიღებულ ცნობის თანახმად ქ. ცარიცინში ანარქიაა გამეფებული. ქალაქი გარნიზონის ხელშია, სხვა მმართველობა არსად სჩანს. ჯარისკაცები ძარცვა-გლეჯას ეწევიან. მდინარე ვოლგის მენაოსნეთა ქონება ჯარმა მიისაკუთრა. ჯარისკაცებმა ქალაქს ნახევარ მილიონიანი კონტრიბუცია დაადვეს.

**გაჩხრეკა ყოფილი მინისტრის მაკლაკოვისა.**

განსაკუთრებულ საგამომძიებლო კომისიის მოწერილობით გამომძიებელი რეზნიკოვი მილიციონერებით გაემგზავრა დიმიტრიევის მაზრაში, ყოფილ მინისტრის მაკლაკოვის მამულში. იმ დროს მამულში არავინ ყოფილა. მიუხედავად ამისა გაჩხრეკა მოახდინეს. წაიღეს ნაწილი მაკლაკოვის წერილებისა, რომელსაც იგი ღებულობდა, „როგორც საზოგადო მოღვაწეებისა, ანდრონიკაშვილისა და სხვა მაღალ წრის წევრებისაგან. ამ დღეებში შეუდგებიან წერილების გარჩევას.

**მონარქისტები არ სცხრებიან.**

**სარატოვი.** 2 მაისს ქალაქის ქუჩაში გამოჩნდა დიდი ბრბო მონარქისტთა, რომელნიც იძახდენ: „მოგვეცით პური, მოგვიწესრიგეთ არეული მდგომარეობა, დაგვიყენეთ მეფეო“... მონარქისტებს წინ მღვდელი მიუძღოდა. რევოლუციურმა ლაშქარმა მონარქისტთა კრება გაჰფანტა.

**დეზერტირების შესახებ.**

ხარკოვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ გამოაცხადა, რომ ის ჯარისკაცები, რომლებიც თავის ნაწილებიდან წამოსულან, თუ მინისტრის მოწოდებაში აღნიშნულ დრომდე არ დაბრუნდებიან, მიწა ჩამოერთმევათო.

# უცხოეთი.

**პუტნიკის გარდაცვალება.**

ნიცაში გარდაიცვალა სერბეთის სარდალი, გამოჩენილი მამულიშვილი პუტნიკი.

**საკვების სიმცირე გერმანიაში.**

სტოკჰოლმიდან იუწყებიან: „გერმანეთში საკვების სიმცირემ ფართე ხასიათი მიიღო. სურსათის ნაკლებობა ძლიერ საგრძნობი გამხდარა მოქმედ ლაშქარში“.

**გერმანეთის გაზეთი ომის მიზნების შესახებ.**

გაზეთი „ბაიერიშერ კურიერი“ სწერს: „ჩვენი მიზანი ამ ომში საკმაოდ ცნობილია. გერმანეთი ებრძვის თავდამსხმელებს, იგერიებს მტრებს და ამავე დროს იგი არ უარყოფს ისეთ მოგების შემოერთებას, რომელიც მის სახელმწიფურ ცხოვრებისთვის მიუცილებელია. ომი უკონტრიბუციოდ ვერ გათავდება. რადგან კონტრიბუცია გადასახდელად ყველას ეზარება, მისაღებად კი იგი ყველასათვის სანუკვარია, გერმანეთი ეცდება კონტრიბუცია მას კი არ დაადონ, არამედ იგი მან გადაახდევინოს სხვას.

**საერთო გეგმა.**

ამას წინად ბერლინს ჩაიდენ ავსტრო-უნგრეთის მინისტრ პრეზიდენტი მარტინიცი და გრაფი ტისსა. მათთან დარბაზობის დროს იმპერიის კანცლერმა ბეტმან ჰოლვეგმა სთქვა: „ჩვენს ყურამდის მოაღწია ცნობამ, თითქოს იმპერატორ კარლოსის მთავრობას განეზრახოს სამთა კავშირისგან გამოთიშვა და ცალკე სეპარატიულ ზავის ჩამოგდება. ბერლინში ეს ცნობა ყველამ სიმართლეს მოკლებულად მიიჩნია, მაგრამ იგი მართალიც რომ იყოს, უნდა მოგახსენოთ, რომ სეპარატიული ზავი ავსტრიისთვის დამღუპველი იქნება. ოთხთა შეთანხმებას გადაწყვეტილი აქვს ავსტრიას უსათუოდ კისერი მოსტეხოს და იგი გმირიელ ლუკმად გაიხადონ. ავსტრიის ხსნა ვერავ კლანჭებისგან მხოლოდ შიდა ევროპის ძლევამოსილ კავშირის შეუძლია. კანცლერის განცხადებაზე მინისტრებმა უპასუხეს, რომ გავრცელებული ხმა სრულიად არ შეესაბამება ჭეშმარიტებას და იგი ავსტრიის მტრებისგან არის შეთხზული.

ავსტრო-უნგრეთ-ბულგარეთ-ოსმალეთს ერთი წამითაც არ შეუძლიან წარმოიდგინონ სეპარატიულ ზავის შესაძლებლობა, და ყველანი მზად ვართ უკანასკნელ დღემდე ჩვენს მოკავშირე გერმანეთთან სისხლი ვღვაროთ, საერთო გეგმით, შეთანხმებით, საერთო მიზნით და საერთო ძალით.

**„გერმანეთის რესპუბლიკა“.**

გაზეთ „ბერნერ ტაგევახტში“ დასტამბულია წერილი სათაურით: გერმანელთა რესპუბლიკა ჰოჰენცოლერნთა მეთაურობით“.

ეს წერილი პასუხია კარლო ჩხეიძის განცხადებისა, რომ რუსეთის პროლეტარიატი შეურიგდება გერმანეთს, თუ იგი დაამხობს თვითმპყრობელობას და უარყოფს ვილჰელმის მეთაურობას. ჩხეიძეს შეიდემანი უპასუხებს, რომ გერმანეთის ხალხს სრულიად არ სძულს მონარქია. 1912 წლის არჩევნებში გლეხობის უმეტესობა ბურჟუაზიულ კანდიდატებს აძლევდა ხმას, რაც იმას ამტკიცებს, რომ, მონარქიას გერმანეთში ჯერ კიდევ მაგარი საფუძველი აქვსო.

**ზიუდეკუმის განცხადება.**

გერმანეთის ცნობილი პაციფისტი სოციალისტის თანხლებით მიემგზავრება სტოკჰოლმს, რათა პირისპირ შეხვდეს რუსეთის სოციალისტებს. ზიუდეკუმის აზრით ზავის ჩამოგდებისთანავე გერმანეთში რევოლუცია ამოვარდება, რომელიც რუსეთის რევოლუციონერებისათვის სანუკვარი უნდა იყოსო.

**რას ამბობს ჰინდენბურგი.**

ფელდმარშალმა ჰინდენბურგმა ლეიპციგელ ჟურნალისტს უთხრა: „ამერიკა ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოთა მუდარით ჩაერია ომში. ამას გარდა მას საკუთარი ინტერესი ჰქონდა. ჩვენი შეუბრალებელი წყალქვეშა ბრძოლა ნიუორკის კაპიტალისტებს შიშის ზარსა სცემდა. ამერიკას ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოთათვის რეალად არავითარ დახმარების გაწევა არ შეუძლია, რადგან მან რომ ხმელეთზე ლაშქარი გამოიყვანოს, ამას სულ ცოტა ერთი წელი დასჭირდება. რა იქნება ერთი წლის შემდგომ, როცა ამერიკა მოკავშირეთ ჯარს მოაშველებს, — შეეკითხა ჟურნალისტი ჰინდენბურგს. ჰინდენბურგმა უპასუხა: ჩვენ გიჟები კი არა ვართ, რომ იმ დროს ვუცადოთ, რომელიც გერმანეთის მოწინააღმდეგეთათვის ხელსაყრელი იქნება. ომის ბედი ამ წელშივე უნდა გადაწყდეს. ამის ნიშნებს ვხედავთ ჩვენ მოპირდაპირეებშიც. რაც შეეხება დღევანდელ ჩვენს მდგომარეობას, იგი საუკეთესოა. ბრძოლის ყოველ ასპარეზზე საქმე ჩინებულად გვაქვს. ღენ. ბრუსილოვი აღმოსავლეთის ბრძოლის პირით შემოტევას აღარ დაიწყებს, რადგან ეს ასპარეზი ჩვენ ძლიერ გავამაგრეთ და ამას გარდა კიდევ უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთში რევოლუციაა, რომელიც შეტევის პრინციპს უარყოფს. დასავლეთის ასპარეზებითაც ჩვენ მაგრად ვართ, სამი თვეა ინგლის-ფრანგები გვიტევენ და ვერა დაგვაკლეს რა. იმათ ძალით ჩვენთვის არსად დაუხევიათ [illegible] უკან. სტრატეგიულ მოსაზრებით ზოგი ადგილები ჩვენ თითონ მივატოვეთ. ერთი სიტყვით ამჟამად ჩვენი მდგომარეობა მეტად სასურველია. იმდენი დასვენებული რეზერვი, რამდენიც ამჟამად ჩემს განკარგულებაში არის, ამ ომის განმავლობაში ჯერ არ ჰყოლია გერმანეთის [illegible]. ჩვენს სამხედრო ძალას [illegible] და ამჟამად თამამად შეგვიძლიან თითოეულ ბრძოლის ასპარეზზე შეტევა ვაწარმოვოთო“.

რედაქტორ გამომცემელი **დ. ბ. კვირკელია.**


# ექიმები:

**ვ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

**მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სიპრ ბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი ბ. კოსტავას სახლი № 17.


## რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. | „ |
| „ | — ღამის | —11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |


# სუსუნატით (ტრიპერით) ავადმყოფებს

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდ-ძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას **„რეზუროლი“**, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს **გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს** საშარდე ბუშტისას, ჭაჭებისას და სხვ. საშუალება ერთნაირათ ნაცადია როგორც ვაჟებზე ისე ქალებზედაც. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, დაამტკიცა რომ

# რეზუროლინი

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. მთლათ მოსარჩენად ავადმყოფისა ღირს 35 მან. 50 კ. ნახევარი კურსი 21 მენეთი. სხვა ქვეყნებში გაიგზავნება 5 მანათის (ხუთი) ბეის მიღების შემდეგ. შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის ტფილისის განყოფილებაში.** Тифлиское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорис-Меликовская № 16 отд—1—1.

# ადამიანის სიცოცხლე დამაბუნებულია

ათაშანგით (სიფილისი) რომელიც ყოველთვის განიკურნება გაუმჯობესებულ შეუცვლელი პრეპარატით

# იოდოსტარინით

პრეპარატი იოდოსტარინი სპეციალისტმა ექიმებმა საუკეთესო საშუალებათ სცნეს ათაშანგის მოსარჩენად სახლში.

მთელი კურსი ღირს 32 მან. ნახევარი კურსი—16 მან., მეოთხედი—9 მან. პრეპარატი ეგზავნებათ 5 მან. ბეს მიღებისათვის უნდა მიმართოთ მხოლოდ ამ მისამართით: Тифлисское отдѣленіе Парижсой фармацевтической Лабораторія Лорис—Меликовская ул. № 16


სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში